საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

№ 8/26-09-01 „17" 07 2018 წ

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო საბუთების მიღების და საბუთების განმხილველი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის N12 დადგენილების დანართ N2– ის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოცხადდეს აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე (გარდა პოლიტიკის მეცნიერების დარგში) განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებით წარმოჩენილი ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის კონკურსი ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად.
2. სტიპენდიის მოპოვებისთვის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
2.1 პროფესორის 1 რეკომენდაცია;
2.2 პირადობის მოწმობის ასლი;
2.3 სტუდენტის სასწავლო ბარათი;
2.4 სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2.5 სიგელები;
2.6 სერტიფიკატები არსებობის შემთხვევაში;
2.7 ინფორმაცია საზოგადოებრივი აქტივობის შესახებ;
3. ამ ბრძანების მეორე მუხლში განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2018 წლის 17 ივლისიდან 2018 წლის 20 ივლისის 14 საათის ჩათვლით, თსუ, მესამე კორპუსი, 107-ე ოთახი.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 მე-3 კორპუსი 0179 თბილისი, საქართველო
11, Ilia Tchavtchavadze Ave., building 3, 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი: +(995 32) 222 44 69 Tel.
ელ.ფოსტა: psy-edu@tsu.ge; E-mail

4. სტიპენდიანტის წარსადგენად დამტკიცდეს საბუთების განმხილველი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

4.1 მანანა მელიქიშვილი

4.2 ხათუნა მარწყვიშვილი

4.3 ირინა გედევანიშვილი

5. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოქვეყნება დაევალოს კანცელარიას.

6. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი / თამარ გაგოშიძე /